ქართველოს პრემიერ მინისტრსბატონ ირაკლი ღარიბაშვილს,

საქართველოს პარლამენტს,

საქართველოს პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტს,

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრსბატონ მიხეილ ჩხენკელს,

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრის დირექტორს
ბატონ ბერიკა შუკაკიძეს,

საქართველოს პედაგოგთა საკოორდინაციო ცენტრის ხელმძღვანელის,
დავითფერაძის
პედაგოგთა საკოორდინაციო ცენტრის ხელმძღვანელის მოადგილის მაია რურუას

საქართველოს პარლამენტის აპარატი
საქმისწარმოების დეპარტამენტი
შემოს.№ 1-14088/21
25 10 2021 წელი 7

პედაგოგთა საკოორდინაციო ცენტრის

მიმართვა

*(საკონტაქტო პირი: დავით ფერძე.*
*პ/ნ; [redacted] ტელ: [redacted]; მის: თბილისი,*
*[redacted])*

მასწავლებელთა საგნობრივი კომპეტენციის დადასტურების გამოცდის შედეგებმა ურთულესი სიტუაცია შექმნა საქართველოს პედაგოგთა კორპუსში. საქართველოს პრემიერ-მინისტრის 27.07.21 N379 დადგენილების მიხედვით, პედაგოგებს (ე.წ. პრაქტიკოსები და მაძიებლები), რომლებიც ვერ დააგროვებენ უფროსი მასწავლებლის სტატუსზე გადასვლისთვის საჭირო კრედიტ-ქულების ოდენობას, შეუწყდებათ შრომითი ხელშეკრულება. ათასობით პედაგოგი, რომელთა ზურგს უკანაც ოჯახები და ხშირ შემთხვევაში მცირეწლოვანი ბავშვებია, დაკარგავს ისედაც მიზერულ საარსებო წყაროს, რომ არაფერი ვთქვათ შეურაცხყოფილ და დამამცირებელ მდგომარეობაზე, რომელშიც ისინი აღმოჩნდნენ. პიროვნული ტრაგიზმის გარდა, სერიოზული საკადრო დეფიციტის საშიშროება წარმოექმნებათ სასწავლო დაწესებულებებს, განსაკუთრებით რეგიონებში, რადგან არსებული მონაცემებით ქვეყანაში არ არის იმ ოდენობით სტატუს-ამაღლებული პედაგოგები, რომ სრულად შეივსოს კონკრეტული ვაკანტური პოზიციები.

ჩვენ არ უარვყოფთ, რომ მასწავლებელი მუდმივად უნდა ვითარდებოდეს. პროფესიისათვის რეგულირებადი სტატუსის ქონა განაპირობებს სახელმწიფოს მიერ გარკვეულ საკვალიფიკაციო ჩარჩოებში მის მოქცევას, მაგრამ, არამც და არამც დისკრიმინაციისა და ადამიანური უფლებების იგნორირების ხარჯზე. არსებული საკანონმდებლო ბაზა (კანონი უმაღლესი განათლების შესახებ,

მასწავლებლის კარიერული წინსვლის მარეგულირებელი ნორმატიული აქტები და ა.შ.) ბევრად აძნელებს მასწავლებლად მუშაობის დაწყებას და ფაქტობრივად, ეს ბაზა ქმნის იმგვარ  სისტემას, რომელიც პირს აიძულებს, უმაღლესი სასწავლებლის დასრულების შემდეგაც კი, საგანმანათლებლო დაწესებულებაში გააგრძელოს პროფესიის დაუფლება. უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი - დიპლომი - ფაქტობრივად აღიარების მიღმა დარჩა. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების და კარიერული წინსვლის მარეგულირებელი ნორმატიული აქტების რამდენჯერმე პერმანენტულმა ცვლამ სისტემაში სრული გაუგებრობა და ქაოსი გამოიწვია.არავინ იცის ეს პროცესი როდის დასრულდება.მას დაემატა პანდემია და მძიმე სტრესული ფონი. სწორედ ამ გარემოებებმა დღეისთვისყველაზე მეტი პრობლემა შეუქმნა უფროს, პრაქტიკოს და მაძიებლის პროგრამაში ჩართულ მასწავლებლებს.

მოგეხსენებათ, მასწავლებლის მაძიებლის პროგრამა ითვალისწინებდა პროგრამის გავლის პერიოდის შემდეგ  სტატუსის ამაღლების შესაძლებლობას. დღეს, ფაქტობრივად, მათ ეს შესაძლებლობა დაკარგეს, რითაც წინსვლისკენორიენტირებულიპედაგოგებიახალსტატუსზეგადასვლისასწინაწლებ შიიგივესიტუაციაშიმყოფიპედაგოგებისგანგანსხვავებითარათანაბარსიტუაციაშია ღმოჩნდნენ.
ამისგამომაძიებელიპედაგოგებსუკვემიმდინარეწლისსექტემბერშიატოვებინებენსკ ოლს, ხოლოზემოხსენებული დადგენილების საფუძველზე, არასაკმარისი კრედიტ-ქულების შემთხვევაში, 2022 წლის იანვრიდან პრაქტიკოსი სტატუსის მქონე მასწავლებლებსაც შეუწყდებათ შრომითი ურთიერთობა. საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ ძველი სქემით ახალ სტატუსზე გადასვლისათვის დაგროვებული ქულები სრულიად უკანონოდაა ანულირებული.

მოცემული მომენტისთვის გამოცდით ან/და ტრენინგით სტატუსის  შემდგომი ზრდის შესაძლებლობა აღარ აქვთ არც უფროს მასწავლებლებს. თუ წინა წლებში შესაბამისი აქტივობებით უფროს მასწავლებელს შეეძლო ზედა სტატუსზე გადასვლა, დღეს ეს მექანიზმი აღარ არსებობს და დაანონსებული გამოცდაც აღარ ტარდება;

განსხვავებულია კომპეტენციის დამადასტურებელი გამოცდის შედეგების გავლენა და ასევე  ერთი და იგივე ოდენობის კრედიტ-ქულების „წონა“ მაძიებელ და პრაქტიკოს მასწავლებლებთან მიმართებაში.  ეს ყველაფერი ვფიქრობთ, შეიცავს დისკრიმინაციის ნიშნებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულმა უკიდურესად გაზარდა აღნიშნული მასწავლებლების უკმაყოფილება, ვითარება დაძაბულია და შესაძლოა დაიწყოს ხელისუფლებისადმი არასასურველი და არამომგებიანი პროცესები, თუ დროულად არ გადაწყდა არსებული პრობლემა.

პედაგოგთა საკოორდინაციო ცენტრსა და უკმაყოფილო პედაგოგთა საკმაოდ დიდ წარმომადგენლობას შორის შემდგარი შეხვედრისას გადაწყდა პრობლემების მოგვარებისა და სახელმწიფოსადმი უკმაყოფილების ზრდის შეჩერების გზები, რომელთაც გთავაზობთ:

- იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ მასწავლებლობა არის სახელმწიფოს მიერ რეგულირებადი პროფესია, საჭიროა, შემდგომი პროფესიული წინსვლა, მაგრამ მას არ უნდა ჰქონდეს იმპერატიული ხასიათი და უნდა იყოს ნებაყოფლობითი, ამავდროულად, შემდგომი განვითარების გზის არჩევისას პედაგოგმა უნდა ისარგებლოს სრული თავისუფლებით. მოცემულ ეტაპზე ყველა მოქმედი პედაგოგი (პრაქტიკოსი, მაძიებელი და ა.შ.) უნდა დარჩეს დასაქმებულ პოზიციაზე და სურვილისებრ ისარგებლოს სახელმწიფოს მიერ მისთვის შეთავაზებული სტატუსის ზრდისათვის საჭირო პაკეტით.
- ყოველივე ეს მოითხოვს მთელი რიგი საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელებას, უპირველესად კი „მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 23 მაისის №241 დადგენილებაში (29/05/2019, 430050000.10.003.021258) ცვლილების შეტანას, კერძოდ, დადგენილებით დამტკიცებული „მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის“ 38-ე მუხლის პირველი პუნქტი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი საორიენტაციო რედაქციით:
  „ყველა პრაქტიკოს და მაძიებლის პროგრამაში ჩართულ მასწავლებელს, რომელიც 2020 წლის 31 იანვრისთვის ასწავლიდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში, მათ შორის იმ მასწავლებელს, რომელიც 2020 წლის 1 თებერვლიდან 2020 წლის 30 აპრილის ჩათვლით სტატუსის ამაღლების მიზნით დარეგისტრირდა მასწავლებლის გამოცდაზე, უფლება აქვს, შემდგომ სასწავლო წლებში ნებაყოფლობით აიმაღლოს მასწავლებლის სტატუსი, ისე, რომ შეუნარჩუნდეს წინა წლებში პროფესიული წინსვლისთვის მიღწეული კრედიტქულები.“
- *ყველა დანარჩენი ჩანაწერი, რომელიც პედაგოგს ავალდებულებს კარიერულ წინსვლას ან/და აიძულებს სამსახურიდან წასვლას,უნდაგაუქმდეს.*
- სკოლაში დასაქმებული მაძიებელი, ე.წ. პრაქტიკოსი და უფროსი მასწავლებლებისთვის სტატუსის ნებაყოფლობითი ზრდის უზრუნველსაყოფად ყოველწლიურად უნდა ჩატარდეს შესაბამისი გამოცდები ან/და ტრენინგები. აუცილებელია, გამოცდის შედეგებმა და კრედიტ-ქულების ოდენობამ ერთნაირად იმოქმედოს ყოველი კატეგორიის პედაგოგზე; სახელმწიფომ უნდა აღიაროს ძველი სქემით ახალ სტატუსზე გადასვლისათვის დაგროვებული კრედიტქულები.

- სასწრაფოდ შედგეს დიალოგი პედაგოგთა საკოორდინაციო ცენტრს, მის მიერ დაკომპლექტებულ სამუშაო ჯგუფის წარმომადგენლებსა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრსა ან/და მინისტრის მოადგილეს შორის.

პატივისცემით,

დავით ფერაძე - პედაგოგთა საკოორდინაციო ცენტრის ხელმძღვანელი

სამუშაო ჯგუფი:

1. მაია რურუა, პედაგოგთა საკოორდინაციო ცენტრის ხელმძღვანელის მოადგილე;
2. ლიკა ბერიძე;
3. ლია ბიწაძე;
4. მარიკა ცეცხლაძე;
5. სალომე ჯაფოშვილი;
6. ნანა თევზაძე;
7. ლამარა ტიტვინიძე;
8. მზევინარ საგინაძე;
9. ნათია მიკუჩაძე;
10. ნონა მემარნე;
11. დიანა მიხაშვილი.
12. ანა კასრელიშვილი
13. მირანდა ბლიაძე
14. ნათელა ყურაშვილი
15. ინგა მანაგაძე
16. ნანა მუმლაძე
17. სოფიკო ხარაიშვილი
18. დარეჯან ლაფერაშვილი
19. დალი მიჩიტაშვილი
20. ინდირა ასლანიძე
21. სოფი ჯაჭვლიანი
22. დავით შაიშმელაშვილი
23. ნანა გელაშვილი
24. ნათია ხარაზიშვილი
25. ინგა ნასყიდაშვილი
26. ლენა ბიწაძე

27. ემა ციკოლია
28. მარიკა ცეცხლაძე
29. ინგა ტაკიძე
30. ქეთევან დარჩიძე
31. იზოლდა ლაბაძე
32. მელანო კონცელიძე
33. ხათუნა გიორგაძე
34. ნინა ოქრუაშვილი
35. გიორგი კასაბური
36. შორენა მიღდისელი
37. ნინო ხარაიშვილის-ლობჟანიძე
38. თინათინ ცერცვაძე
39. ნინო აფციაური
40. ფიქრია დაუთაშვილი

საქართველოს პარლამენტის  განათლებისა და მეცნიერების კომიტეტს

კმიტეტის თავმჯდომარეს ბატონ შალვა პაპუაშვილს

*(საკონტაქტო პირი: დავით ფერძე.*
*პ/ნ; [redacted]; ტელ: [redacted] მის: თბილისი,*
[redacted])

ქვემომოცემულ საკითხთან  დაკავშირებით, პედაგოგთა საკოორდინაციო ცენტრმა ჯერ კიდევ ა/წ 13 სექტემბერს მიმართა საქართველოს პარლამენტს, მთავრობას და სფეროს სესაბამის უწყებებს. ჩვენი თხოვნის საფუძველი იმ მიმართვაში არის ჩამოყალიბებული და თან ერთვის ამ წინადადებებს:

გთხოვთ განიხილოთ და დადებითად გადაწყიტოთ შემდეგი წინადადებები:

„მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 23 მაისის №241 დადგენილებაში (www. matsne.gov.ge 29/05/2019, 430050000.10.003.021258) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის“ 38-ე მუხლის: პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი საორიენტაციო რედაქციით:

„1. „პრაქტიკოს, სპეცმასწავლებლებს  და მაძიებლის  პროგრამაში ჩართულ ყველა მასწავლებელს, რომელიც 2020 წლის 31 იანვრისთვის ასწავლიდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში, მათ შორის იმ მასწავლებელს, რომელიც 2020 წლის 1 თებერვლიდან 2020 წლის 30 აპრილის ჩათვლით სტატუსის ამაღლების მიზნით დარეგისტრირდა მასწავლებლის გამოცდაზე, უფლება აქვს, შემდგომ  სასწავლო წლებში ნებაყოფლობით აიმაღლონ მასწავლებლის სტატუსი, ისე, რომ შეუნარჩუნდეს წინა წლებში პროფესიული წინსვლისთვის მიღწეული კრედიტქულები.“

.“.

2. ამოღებულ იქნეს მე-4 პუნქტი რომელიც ჩამოყალიბებულია შემდეგი რედაქციით:

*„იმ პრაქტიკოსი მასწავლებლების სამუშაო ადგილას, რომლებიც 2021-2022 სასწავლო წლის დაწყებამდე გავლენ საგნის ან/და პროფესიული უნარების გამოცდაზე და ვერ აიმაღლებენ სტატუსს (ამ მუხლის მე-7 და მე-8 პუნქტებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, ვერ შეივსებენ/დააგროვებენ სტატუსის ამაღლებისთვის საჭირო 19 კრედიტქულას), სკოლის ადმინისტრაცია 2021-2022 სასწავლო წლის მეორე სემესტრის დაწყებამდე არაუგვიანეს 1 თვისა აცხადებს კონკურსს.“.*

მოცემული მომენტისთვის ვერ რეალიზდება მე-8 პუნქტი რომელიც ჩამოყალიბილია შემდეგი რედაქციით:

„8. პრაქტიკოს მასწავლებელს უფლება აქვს, 2021-2022 სასწავლო წლის მეორე სემესტრის დაწყებამდე დაადასტუროს საგნობრივი ან პროფესიული კომპეტენცია, რის შემდეგაც eschool.emis.ge-ის ბაზაში აესახება უკეთესი შედეგი (თუ მას წინა გამოცდაზე მიღებული აქვს უფრო მაღალი შედეგი, მას უნარჩუნდება წინა გამოცდის შედეგები).“ ამ მუხლით გათვალისწინებული კომპეტენციის დასადასტურებლად მასწავლებლებს არანაირი მექანიზმი არ გააჩნიათ: არ არის დაგეგმილი კომპეტენიციის დასადასტურებელი გამოცდები, ტრენინგები, დახურულია ზემოაღნიშნული ბაზა. ამიტომ, 20121-2022 წლის მოერე სასწავლო სემესტრის დაწყებამდე ან შეიქმნას ხსენებული მუხლის აღსრულების შესაძლებლობა, ან, თუ ეს ვერ ხერხდება, ამოღებულ იქნას ეს მუხლიც.

დარწმუნებული ვართ, გაითვალისწინებთ 7 ათასამდე პედაგოგის ინიციატივას და სასიკეთოდ გადაწყვეტთ პრობლემას

**პატივისცემით,**

**დავით ფერაძე - პედაგოგთა საკოორდინაციო ცენტრის ხელმძღვანელი**

**24.10.2021 წ.**